რაფიელ ერისთავი – ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი მეგზური

კოჭლოშვილი ნინო
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/tuw.2025.38.01.19

აბსტრაქტი. *ქართველი სამოციანელები რაფიელ ერისთავს თავიანთ წინამორბედად მიიჩნევდნენ.*

რაფიელ ერისთავის ჟანრობრივად და თემატურად მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა, ეროვნულ-სოციალური თუ ზოდაგსაკაცობრიო პრობლემებით, ერთ-ერთია, რამაც დიდი როლი ითამაშა ქართველი სამოციანელების ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბებაში.

ვაჟა-ფშაველა მათ შორის იყო, რომლებიც რაფიელ ერისთავის კეთილისმყოფელ ლიტერატურულ გავლენას აღიარებდნენ.

რაფიელ ერისთავისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი მსგავსება მხოლოდ მთის კილოთი არ შემოფარგლულა. მათი ლიტერატურული ნათესაობის ერთ-ერთი, განმსაზღვრელი უარყოფითი დოგმებით გაჯერებული საზოგადოებრივი მორალის კრიტიკაა, რომელიც უმოწყალოდ ბღავალას ყოველგვარ ამაღლებულს.

ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს რაფიელ ერისთავის მოთხრობა „ბეჩავი“, რომელიც 1855 წელს გამოქვეყნდა რუსულ ალმანახში „ზურნა“.

ნაწარმოები სათაურიდანვე განაწყობს მკითხველს სენტიმენტალური ამბის მოსასმენად, მოთხრობის დასაწყისი კი ღვთისგან ბოძებული სილამაზისა და სიყვარულისთვის მადლიერებასა და ქომაგობას სთხოვს.

ნაწარმოები უჩვეულო კომპოზიციით გამოირჩევა. ძალზედ სადა და უშუალო თხრობა იწყება ფშავში მოგზაური მწერლისა და მისი თანმხლებთა საუბრით.

შემდეგ უკვე სიუჟეტი იშლება მწერლისა და სოფელ ხოშარის მკვიდრის, გულთამზის, დიალოგის ფონზე. გულთამზის ნაამბობი, ფშავში მომხდარი ნამდვილი ამბავი ლაშქარასი და მერცხალას სიყვარულისა ხდება მოთხრობის საფუძველი.

მოთხრობა ერთი კონკრეტული ამბით საინტერესოდ ასახავს ფშაველთა ყოფას, მათ ადათ-წესებს.

ლაშქარასა და მერცხალას ტრაგიკული სიყვარულის ისტორია კრიტიკაა მთაში გამეფებული სისხლის აღების ტრადიციისა.

რაფიელ ერისთავისეული ხედვა ფშაველთა თემობრივი ყოფისთვის დამახასიათებელი რწმენისა და ზნეობის განახლებისა მრავალმხრივ განაზოგადა თავის შემოქმედებით ნაზრევში ვაჟა-ფშაველამ, რომელმაც „ზნეობრივად ღირებული სიცოცხლის შინაარსი აღიარა ფასეულად, ადამიანის არსებობის საზრისად“(არაბული, გ.,1999:36), რომელმაც „კაი ყმას“ ცხოვრების კრედოდ სულიერ-ზნეობრივი იდეალები დაუსახა და მისთვის მსხვერპლის გაღება აუცილებლობად უქცია.

საკვანძო სიტყვები: *მოთხრობა „ბეჩავი“, სისხლის აღების წესი.*

რაფიელ ერისთავის ლიტერატურულმა ნაღვაწმა უდავოდ შეუწყო ხელი მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის განვითარებას.

მწერლის ლირიკულ ნაწარმოებებთან ერთად დიდი ინტერესით იკითხება მისი პროზაული და დრამატული ნაწერები.

როგორც აკაკი წერეთელი იტყოდა: „რაფიელი ეკუთვნის მესამოცე წლების მოღვაწეთა გუნდს. ეს დრო ჩვენში დიდი მარტოხელობის დრო იყო და... მისი ნაშრომი მთას ვერ წარმოგვიდგენს და მისი ნაღვაწი ზღვას, მაგრამ თუ ამას ათასგვარ წვრილმან ნასაქმარს ერთმანეთს შეუხორცებთ, მაშინ კი მთაც გამოვა და ზღვაც. სწორედ ამ თვალით უნდა უყურებდეთ ზოგიერთ მესამოცე წლების მოღვაწეებს და მათ რიცხვში რაფიელ ერისთავსაც"(წერეთელი, ა., 1990:125).

ქართველი სამოციანელები რაფიელ ერისთავს თავიანთ წინამორბედადაც მიიჩნევდნენ.

მწერლის ჟანრობრივად და თემატურად მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა, ეროვნულ-სოციალური თუ ზოდაგსაკაცობრიო პრობლემებით, ერთ-ერთია, რამაც დიდი როლი ითამაშა ქართველი სამოციანელების ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბებაში.

ვაჟა-ფშაველა მათ შორის იყო, რომლებიც რაფიელ ერისთავის კეთილისმყოფელ ლიტერატურულ გავლენას აღიარებდნენ. 1896 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში „Pro domo sua”იგი წერდა:

„სადავოდ გახდა ის გარემოება: ჰქონდა თუ არა გავლენა ჩვენს ძმებზე _რაზიკაშვილებზე რაფიელს. რაკი ეს კითხვა პირდაპირ დაგვიყენეს, მე პირადად სამარცხვინოდ მიმაჩნია, სიმართლით არ აღვიარო ჩემის მხრით საქმის ყოველივე გარემოება.

ჩვენში ძალიან სათაკილოდ და ვითომ დამამცირებლად მიაჩნიათ მწერალზე სხვისი გავლენა. მე კი ეს წესიერ, საღ, ნორმალურ და აუცილებელ მოვლენად მიცნია იმ კანონის ძალით, რომელსაც ჰქვიან კანონი თანდათანობისა...

თ.რაფიელის ლექსებმა, როგორც საერო კილოთი ნაწერმა და ისიც ჩვენებურ მთის კილოთი სხვანაირად ააჩქროლა ჩემი გული. სხვანაირად შესძრა იგი. ამასთანავე ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ მაშინ შეგირდი გახლდით, მაგრამ ხალხურ-ფშაური, ხევსურული ლექსები ბევრი ვიცოდი; ეს კილო მიყვარდა და ჩემს გულში განსაკუთრებული კუთხე ეჭირათ. თუმცა მაშინაც ლექსებს ვწერდი, ანუ უკეთ რომ ვთქვათ ვბღაჯნიდი, მაგრამ ამ საერო კილოზე წერას ვერა ვბედავდი, რადგან მწერლობაში ლექსების წერის კილოდ არ იყო მიღებული... ჩვენმა სახელოვანმა რაკი საერო კილო დაუმკვიდრა ლექსებს და ჟურნალ ივერიაში გზა დაუთმო, მეც გბედულობა, მომეტა (ვაჟა-ფშაველა, 1896:3).

რაფიელ ერისთავისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი მსგავსება მხოლოდ მთის კილოთი არ შემოფარგლულა. მათი ლიტერატურული ნათესაობის ერთ-ერთი, განმსაზღვრელი უარყოფითი დოგმებით გაჯერებული საზოგადოებრივი მორალის კრიტიკაა, რომელიც უმოწყალოდ ბღავალას ყოველგვარ ამაღლებულს.

ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს რაფიელ ერისთავის მოთხრობა „ბეჩავი“, რომელის 1855 წელს გამოქვეყნდა რუსულ ალმანახში „ზურნა“.

როგორც ირკვევა, ამ ნაწარმოების მიმართ ქართული სალიტერატურო კრიტიკის გულგრილობა მოთხრობის რუსულ ენაზე პუბლიკაციამ განაპირობა.

მკვლევარ თეიმურაზ ჯაგოდნიშვილის მითითებით ,,ბეჩავი” მრავალმხრივ საყურადღებოა, „ამ მოთხრობაში ჩვენს ეროვნულ სიმანდვილეში პირველად გამოჩნდა საქართველოს მთის თემატიკა თავისი მართლაც და განუმეორებელი ეგზოტიკით. ამასათანავე ქართულ მწერლობაში პირველად გაცნობიერდა მთის ადათობრივი სამართლით შეპირობებული საზოგადოებრივი ყოფის ნიადაგზე

ამოზიდული კონფლიქტი საზოგადოების მორალურ-ეთიკურ მოთხოვნებსა და ადამიანის სულიერი თავისუფლებისაკენ ლტოლვის სურვილს შორის. რ.ერისთავმა ამით წარმოაჩინა ადამიანის ვალდებულებებისა და თავისუფალი მისწრაფებების შეუთავსებლობით განპირობებული დიდი ადამიანური ტრაგიზმი“ (ჯაგოდნიშვილი, თ., 1986:108).

ნაწარმოები სათაურუდანვე განაწყობს მკითხველს სენტიმენტალური ამბის მოსასმენად, მოთხრობის დასაწყისი კი ღვთისგან ბოძებული სილამაზისა და სიყვარულისთვის მადლიერებასა და ქომაგომას სთხოვს მას.

ბუნების სიმშვენიერით გამოწვეული მწერლის განცდებიც ამ იდეური ჩანაფიქრის განსახიერებაა.

„სპეტაკი თოვლით შომოქვობილი უზარმაზარი მთების ხილვა, პირქუში უფსკრულები, რომლებსაც თვალი ვერ სწვდება, ჩანჩქერთა ხმაური და ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემო იყო, ისეთ განწყობილებას გვიქმნიდა, რომ თვითეულმა ჩვენთაგანმა, ბუნების მშვენიერებით და დიდებით გაოცებულმა, მის შემოქმედს ლოცვით მიმართა!“ (ერისთავი, რ., 1958:346).

ნაწარმოები უჩვეულო კომპოზიციით გამოირჩევა. ძალზედ სადა და უშუალო თხრობა იწყება ფშავში მოგზაური მწერლისა და მისი თანმხლებთა საუბრით.

შემდეგ უკვე სიუჟეტი იშლება მწერლისა და სოფელ ხოშარის მკვიდრის, გულთამზის, დიალოგის ფონზე. გულთამზის ნაამბობი, ფშავში მომხდარი ნამდვილი ამბავი ლაშქარასი და მერცხალას სიყვარულისა ხდება მოთხრობის საფუძველი.

მოთხრობა ერთი კონკრეტული ამბით საინტერესოდ ასახავს ფშაველთა ყოფას, მათ ადათ-წესებს.

ლაშქარასა და მერცხალას ტრაგიკული სიყვარულის ისტორია კრიტიკაა მთაში გამეფებული სისხლის აღების ტრადიციისა.

ვაჟა-ფშაველა პუბლიცისტურ წერილში „ფშავლების ძველი სამართალი და საოჯახო წესები“ სისხლი აღების წესის შესახებ გვამცნობს:

„სისხლის აღება ჩვეულებად ჰქონდათ ფშავლებს, როგორც სხვა მთიელებს, მაგრამ შერიგებაც შესაძლო იყო თუ მკვლელი სახვეწრით მივიდოდა მოკლულის ნათესავებთან და კაცის „თავსისხს“ ზღავდა... ღირსებას, გვაროვნებას, ჩამომავლობას, ფშავლების ჩვეულებითი სამართალი არ მიჰხედავდა. მთელი ხელი იყო დაფასებული თხუთმეტ ძროხად... მოკლულის ნათესავნი მკვლელს იმ შემთხვევაში, როდესაც შერიგება მოხდებოდა, თვასისხლის საფასურის გარდა გამოართმევდნენ იმ ნივთს, რომელიც კი მოეწონებოდათ მოკლულის ნათსავებს; დამნაშავეს უარის თქმა არ შეეძლო.

ამ ჩვეულებას „ალმანია“, „ყისტი“ ჰქვიან, „ალმანის“ გაღება.“ ალმანიად ერთი თემი მეორეს მამულსაც წაართმევდა. ეს მაშინ მოხდებოდა, როდესაც ერთს თემს მეორისა სისხლი დაედებოდა და ემართებოდა. ალმანიდგან იყო განთავისუფლებული ზოგი სახელოვანი იარაღი, ისეთი იარაღი, რომელიც ომის ლაშქრობის დროს პატრონს ასახელებდა. ხევისბერი დაჰლოცავდა ხმალს ან თოფს სახელოვანს და შეაჩვენებდა, „დაარისხავდა“ იმას, ვინც ალმანიაში წაართმევდა, ანუ „ყისტად მოუდებდა“ მის მექონეს ამ დალოცვილს იარაღს. ამგვარი იარაღი ბევრი იყო ფშავში და ერთი დღესაც არის, რომელსაც ბათურის (კაცის სახელია) ჰქვიან“ (ვაჟა-ფშაველა, 1994:127-128).

რაფიელ ერისთავის მოთხრობაში „ბეჩავი“ სისხლის აღების ტრადიცია უმკაცრეს კანონიკას ექვემდებარება. ის არ ითვალისწინებს „თავსისხს“, არც „ალმანიას“ ან კიდევ „ყისტს“, მხოლოდ სისხლს „სისიხლისა წილ“. ამ უმკაცრესი განაჩენისთვის მწერალი

ლაშქარას დედის, ქვრივი სადუნას ყოფის აღწერითაც გვამზადებს. ქისტებისგან მოკლული ლაშაქარას მამის მონაგართა მიმართ შუაფხოველთა გულგრილობა თითქოს ლაშქარას ბედ-იღბლის წინასწარ განჭვრეტაა.

ქისტაურთა და გაბიდაურთა შორის შუღლი სისხლის აღების „მხეცური ჩვეულებით“ მოგვარებას ითვალისწინებს მხოლოდ.

თემის საბჭოზე მერცხალას მამის მიმართვას „გაბიდაურებო! ჩვენი თემი და გვარი ჩვენი ძმის სისხლით შეიღება და ჩირქი უნდა ჩამოვირეცხოთ: შური უნდა ვიძიოთ! ვიცი, ქისტაურის თემი ამაყია და ამიტომ ნებაყოფლობით არ მოისურვებს სისხლის გადახდას. მაგრამ მე აგრეთვე ვიცი, რომ ჩვენი ჩვეულების მიხედვით, შეიძლება მოვკლათ ვინმე მათი თემიდან და მაშინ სისხლი აღებული გვექნება. სისხლი სისხლისა წილ! ეს ასე მოხდება. შორს არ გადავდებთ, დღესვე... მე მსხვერპლად მომაქვს ჩემი სასიძო ლაშქარა! ის ქისტაურთა თემიდან არი“_ საბჭო ერთპიროვნულად ეთანხმება „სისხლი სისხლისა წილ! სიკვდილი ლაშქარას!“ (ერისთავი, რ., 1958: 358).

მოთხრობის დასასრულს აშკარაა ავტორის უარყოფითი დამოკიდებულება იმ საზოგადოებრივი ეთიკის მიმართ, რომელიც ლაშქარასა და მერცხალას მსგავსად არაერთი ახალგაზრდის მკვლელია, რომელიც კერას სამუდამოდ აციებს ისე, როგორც გამიხარდის სამყოფს, რომელიც მერცხალას საყვარელი რუხი კატისა და ხბორების ამარა რჩება.

სისხლის აღების ტრადიციის უპირობოდ დაცვამ შვილის მკვლელად აქცია გამიხარდი. ჭკუიდან შეშლილი გამიხარდი დრომოჭმულ ტრადიციასთნ ასოცირდება, ხოშარელთა მიერ ის უბედურების მაცნედ არის აღქმული, მისი გამოჩენა შიშის ზარს სცემს ყველას, მას ყველა გაურბის, მაინც მისგან ვერ თავისუფლდებიან. მთებში გამიხარდის უაზროდ ხეტიალი, ალბათ იმდროინდელი ფშაველთა ყოფის ის ზნე-ზნვეულებები, აზრები და წესებია, რომლებიც „უვარგისი და პირდაპირ დამღუპველია ადამიანისა, შემბოჭველი მისი თავისუფლებისა, საღის მსჯელობისა“ (ვაჟა-ფშაველა, 1994:481).

მგზავრთან საუბრის დროს გამიხარდის მოულოდნელი გამოჩენით შეშინებული გულთმზეს უეცარი და საშინელი შეძახილი „ვაი, ჩვენს თავს, თამარ მეფევ შეგვიწყალე!“ დრომოჭმული საზოგადოებრივი მორალისგან თავის დასაღწევად თამარისადმი აღვლენილ ლოცვას ჰგავს. ფშაველი ხომ თამარ მეფეს „ცეცხლის სინათლის მადმთან“, „ე დედამიწის მადმთან“, „მოღალულის მზის მადმთან“, „ხარის ქედთან“, „პურის ნაწილთან“, „ლაშარის ჯვართან“ ერთად ლოცვისა და ფიცის დროს ხშირად მიმართავდა.

რაფიელ ერისთავისეული ხედვა ფშაველთა თემობრივი ყოფისთვის დამახასიათებელი რწმენისა და ზნეობის განახლებისა მრავალმხრივ განაზოგადა თავის შემოქმედებით ნააზრევში ვაჟა-ფშაველამ, რომელმაც „ზნეობრივად ღირებული სიცოცხლის შინაარსი აღიარა ფასეულად, ადამიანის არსებობის საზრისად“ (არაბული, გ.,1999:36), რომელმაც „კაი ყმას“ ცხოვრების კრედოდ სულიერ-ზნეობრივი იდეალები დაუსახა და მისთვის მსხვერპლის გაღება აუცილებლობად უქცია.

ლიტერატურა:

1. არაბული, გ.(1999), ვაჟა-ფშაველას სამი პოემა, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“;
2. ერისთავი, რ.(1958), რჩეული თხზულებანი, 1958, თბილი;
3. ვაჟა-ფშაველა, ტ.V, 1994, გამომცემლობა „საქართველო;“
4. ვაჟა-ფშაველა, Pro domo sua, ივერია, 1896წ. N43;

5. ვაშაყმაძე, შ.(1962), რაფიელ ერისთავი, 1962, სახელმწიფო გამომცემლობა, 'საბჭოთა საქართველო", თბილისი;
6. წერეთელი, ა.(1990), ტ.V, გამომცემლობა „საქართველო", თბილისი;
7. ჯაგოდნიშვილი,თ.(1986), რაფიელ ერისთავი, „ნაკადული", თბილისი.

Rafiel Eristavi _ Vazha-Pshavela's creative guide

Kochloshvili Nino
Iakob Gogebashvili Telavi State University

Abstract

The Georgian writers of the 1960s considered Rafiel Eristavi their predecessor. Rafiel Eristavi's genre- and thematically diverse literary heritage, with its national-social and humanistic problems, is one of the things that played a major role in shaping the literary taste of the Georgian writers of the 1960s.

Vazha-Pshavela was among those who recognized Rafiel Eristavi's benevolent literary influence.

The creative similarity between Rafiel Eristavi and Vazha-Pshavela was not limited to the height of a mountain. One of the defining features of their literary kinship is the criticism of public morality saturated with negative dogmas, which mercilessly undermines all exalted things.

In this regard, Rafiel Eristavi's story "Bechavi", published in 1855 in the Russian almanac "Zurna", is of interest.

From the very title, the work sets the reader up to listen to a sentimental story, and the beginning of the story asks for gratitude and adoration for the beauty and love bestowed by God.

The work is distinguished by its unusual composition. The very simple and direct narrative begins with a conversation between a writer traveling in Pshavi and his companions.

Then the plot unfolds against the backdrop of a dialogue between the writer and a resident of the village of Khoshori, Gultamzi. Gultamzi's story, the true story of the love of Lashkaras and Mertskhala that took place in Pshavi, becomes the basis of the story.

The story interestingly depicts the life of the Pshavi people, their customs and traditions, with one specific story.

The tragic love story of Lashkara and Mertskhala is a critique of the blood-sucking tradition that reigned in the mountains.

Rafiel Eristavi's vision of renewing the faith and morality characteristic of the Pshavela community was generalized in many ways in his creative thinking by Vazha-Pshavela, who "recognized the morally valuable content of life as valuable, as the meaning of human existence" (Arabuli, G., 1999:36), who set spiritual and moral ideals as the credo of the life of the "Kai Kma" and made sacrifices a necessity for him.

Key words: *The story "Bechavi", the procedure for taking blood.*